ოქმი:**ო05. 3726271001**

თარიღი:**28/09/2026**

ოქმი N 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 25 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი– 16:30-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ.ხომერიკი, ხ.ცერცვაძე, ლ.მესხი, ი.დობორჯგინიძე, თ.ქავთარია, ლ.კვაჭაძე, ქ.კვაჭანტირაძე, ტ.აროშიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მ.ხიკვიშვილი

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი და წარმოადგინა დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე, დადგენილების პროექტის წარდგენა საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაწყების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

